წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №10

ქ.წალენჯიხა

2020 წლის 31 ივლისი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **დარეჯან დადიანი**

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: გოჩა ლიპარტია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ლევან შელია, ნონა გუჩუა, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 19).

დღის წესრიგი:

1.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

2. საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილიაზე საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

5.,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

6.სხვადასხვა.

მოისმინეს : 1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 2- ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N20).

მოისმინეს: 2. საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილიაზე საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ საკრებულოს გააცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წერილი, რომლითაც ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით თემურ ღვინჯილიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, რითაც მას შეუჩერდა საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება ეკისრება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დარეჯან დადიანს.

აღნიშნული საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს: 3. .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ ძალიან გაჭიანურდა ქ. წალენჯიხის სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების შენობის ექსპლოატაცია.

მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ დარჩენილია უმნიშვნელო საკითხები და უახლოეს დღეებში მოგვარდება.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N21).

მოისმინეს 4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გიორგი აბულაძემ აღნიშნა,რომ მიზანშეწონილია ხელშეკრულებაში ჩაიდოს მიკერძოების გარეშე ელექტრო მონიტორზე გაშვებულ იქნას ყველა პოლიტიკური დამკვეთის რეკლამა.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 15 დეპუტატი, წინააღმდეგი 8 - ვალერიანე კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, მანჩო ჭანია, მაია მიქავა, გიორგი აბულაძე, დათა აკობია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N22).

მოისმინეს: 5.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ

დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N23.).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე დარეჯან დადიანი